956

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

5-6

მაისი, ივნისი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 56

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბ ურ ჭ ულ ა ძ ე
15 მაისი 1956 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღონისძიებანი

მიღებული აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებისა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების რესპუბლიკური თათბირის მიერ 1956 წლის 14 აპრილს

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. მ. ბურჭულაძის მოხსენება „საქართველო სსრ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საშუალო და რვაწლიანი სკოლების რიცხვი.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების დახმარებამ, სახალხო განათლების ორგანოების კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერებამ, პედაგოგიური კადრებისა და სკოლების ხელმძღვანელთა შემადგენლობის გაუმჯობესებამ, შემთავსებელ მასწავლებელთა რიცხვის შემცირებამ და სხვა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას.

მაგრამ, ამასთან ერთად, თათბირი თვლის, რომ აღნიშნული ტიპის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლების ქსელისა და კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას. მიმდინარე სასწავლო წელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული სოფლის ახალგაზრდობის 258 რვაწლიანი სკოლისა, 848 კლასით და 10044 მოსწავლით, მუშაობს 226 სკოლა, 761 კლასით და 7653 მოსწავლით.

F-1941
ბარქსის სახ. საქ. სახელ.
საჯარო ბიბლიოთეკა

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ადგილი აქვს კლასების დაუტვირთაობისა და მოსწავლეთა განთესვის ხშირ შემთხვევებს, რაც ზოგჯერ იწვევს არა მარტო ცალკეული კლასების, არამედ მთელი სკოლების დახურვასაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებათა მიერ სათანადო მუშაობის ჩაუტარებლობის გამო, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ონის, ორჯონიკიძის, ტყიბულისა და ცხაკაიას რაიონებში სოფლის ახალგაზრდობის არც ერთი სკოლა არ არსებობს.

სუსტია რესპუბლიკის ბევრი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა; დღემდე ბევრგან კიდევ არაა მოგვარებული მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით სარგებლობის საკითხი.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები საჭირო შემოქმედებით დამოკიდებულებას არ იჩენენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვისადმი, არ ითვალისწინებენ ამ ტიპის სკოლების მუშაობის სპეციფიკურ პირობებს.

მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტების წარმოება.

სუსტად მუშაობენ პედაგოგიური საბჭოები.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მეთოდურ მუშაობას, საჭირო ღონისძიებანი არ ტარდება მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების მიზნით მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისათვის.

რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ბევრ სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სუსტად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა. არ ხორციელდება ერთიანი, მტკიცე და მაღალი პედაგოგიური მოთხოვნები დისციპლინისა და სწავლების საქმეში; სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები არასაკმაო კავშირს ამყარებენ ოჯახთან და წარმოება-დაწესებულებებთან, რომლებშიც მოსწავლეები მუშაობენ. ყოველივე ამის შედეგად, ადგილი აქვს მოსწავლეთა მხრივ ზოგჯერ ხულიგნური მოქმედების ფაქტებს და სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი.

მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივის შესაქმნელად, შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად სათანადოდ არაა გამოყენებული კომუნისტი და კომკავშირელი მოსწავლეების ძალა.

რესპუბლიკის სკოლების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ მუშაობს

ბევრი დაბალკვალიფიციური, თავის საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს ნაკლებდაუფლებული მასწავლებელი, რომელიც არ ზრუნავს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური და იდეურ-მეცნიერული დონის ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ტიპის სკოლებში ცუდად არის დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება მასწავლებელთა მუშაობაზე.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არასაკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაზე.

ამ სკოლებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის საქმეში ნაკლოვანებანი ახასიათებთ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებას, ამ სკოლების რესპუბლიკურ პედკაბინეტს, აგრეთვე პედაგოგიურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის საკითხებს სუსტად აშუქებს რესპუბლიკის პედაგოგიური პრესა—ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“ და გაზეთი „სახალხო განათლება“.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, წულუკიძის, წყალტუბოს, ახალციხის, კასპის, მცხეთისა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში დაბალ დონეზეა დაყენებული სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა.

იმ მიზნით, რომ ძირეულად გარდაიქმნას დასახელებული სკოლების მუშაობა და წარმატებით გადაიჭრას პარტიის XX ყრილობის მიერ საშუალო განათლების არმქონე მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ისტორიული ამოცანა, თათბირს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

I. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სკოლის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა:

1. მიიღონ საჭირო ზომები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 15 წლისა და მეტი ასაკის ახალგაზრდობის ზუსტი აღრიცხვისა და სწავლებაში მათი ჩაბმის უზრუნველსაყოფად; ამ მიზნით სისტემატური ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ სკოლაში

მისაღებ ახალგაზრდობას შორის. მიაღწიონ დიდ წარმოება-დაწესებულებებთან საკონსულტაციო პუნქტების შექმნას. იზრუნონ სახალხო-სამეურნეო გეგმით განსაზღვრული რაოდენობის ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად და მათ შესანარჩუნებლად; აღმოფხვრან კლასების დაუტვირთაობის დღემდე არსებული შემთხვევები.

2. მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მტკიცე, საქმიანი კავშირი დაამყარონ ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან და მოსწავლეთა ოჯახებთან.

3. იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს კავშირი მოსწავლეთა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ მომზადებას შორის, უზრუნველყონ ფაბრიკებში, ქარხნებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა ადგილებში სასწავლო ექსკურსიების მოწყობა და ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით იმ თეორიულ საკითხებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს თვით მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ამა თუ იმ სახის საწარმოო შრომას.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო მუშაობაში გეგმიანობის მტკიცედ დანერგვას; აღმოფხვრან ამ საქმისადმი დღემდე არსებული ფორმალური დამოკიდებულება, გახადონ გეგმები კონკრეტული, ოპერატიული, ყოველდღიური სასკოლო საქმიანობისათვის გამოსადეგი.

5. სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდონ სასკოლო დოკუმენტების წარმოებას.

6. უნარიანად დაგეგმონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა, გულდასმით მოამზადონ სხდომებზე განსახილველი საკითხები, სათანადო ღონისძიებანი გაატარონ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებაში პედაგოგიური საბჭოების როლის გასაძლიერებლად.

7. გადაჭრით გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა. მოწინავეთა გამოცდილების შესწავლით და განზოგადებით, პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოყენებით ხელი შეუწყონ მასწავლებელთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საქმის გაუმჯობესებას.

8. მასწავლებელთა მუშაობაზე შინასასკოლო კონტროლის, დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაძლიერებით მიაღწიონ ცალკეუ-

ლი საგნების სწავლების მაღალ იდეურ-მეცნიერულ და პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე დაყენებას; გააუმჯობესონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა და მინამუმამდე დაიყვანონ მათი რიცხვი; მოსწავლეთადმი მომთხოვნელობის გაზრდით უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება.

9. ყოველდღიური, გულმოდგინე შრომით, მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებათა გატარებით მიაღწიონ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას; აღზარდონ მოსწავლეები ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

10. სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მტკიცე კავშირი დაამყარონ ფაბრიკა-ქარხნების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან.

11. მიმდინარე წლის 25 მაისამდე გადასინჯონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორთა, სასწავლო ნაწილის გამგეთა და მასწავლებელთა შემადგენლობა და, ამ საკითხზე არსებული კანონის ზუსტი დაცვით, განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ თავიანთი წინადადებანი სუსტ შეუფერებელ მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

12. 1956 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წინადადებანი დაუსწრებელი და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გაფართოების შესახებ.

13. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოიწვიონ სკოლების დირექტორების თათბირი წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად ამ სკოლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

14. ქმედითი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაზე. მისცენ მათ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით სარგებლობის საშუალება.

15. საკითხები მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ, სა-

ჭიროების შემთხვევაში, განსახილველად დააყენონ სახალხო განათლების საბჭოებისა და ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

1. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა დასახმარებლად დაამუშაოს და გამოსცეს სათანადო პედაგოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურა.

2. დროულად უზრუნველყოს სკოლები საგამოცდო ინსტრუქციებით, ბილეთებით, სასწავლო პროგრამით და სხვა საჭირო სახელმძღვანელო დოკუმენტებით.

3. გამოსცეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების შესახებ სახელმძღვანელო მასალების კრებული.

4. გადასინჯოს სკოლების დირექტორთა, სასწავლო ნაწილის გამგეთა და მასწავლებელთა შემადგენლობა თავის მოვალეობისათვის შეუფერებელ და სუსტ მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლების მიზნით.

5. სკოლების მუშაობაზე სათანადო ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერების მიზნით უფრო ხშირად მიავლინოს ადგილებზე სასკოლო ინსპექტორები და მეთოდისტები.

6. სათანადო ღონისძიებანი გაატაროს სასწავლო სახელმძღვანელოებით, რვეულებით, საწერ-კალამით და სხვა სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად.

III. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა:

1. დაამუშაოს ორიგინალური, აგრეთვე თარგმნოს და გამოსცეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის რუსულ ენაზე არსებული პედაგოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურა.

2. ფართოდ შეისწავლოს ამ სკოლების მუშაობა და ახალი სასწავლო წლისათვის გაითვალისწინოს სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მოწყობა.

3. „პედაგოგიური კითხვის“ თემატიკაში შეიტანოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეული საკითხები.

IV. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა.

1. გააუმჯობესოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი მეთოდური დახმარება.

2. უზრუნველყოს სკოლების დირექტორთა, სასწავლო ნაწილთა გამგეთა და მასწავლებელთა გადამზადების გეგმის მთლიანად, ძალიან ხარისხოვნად და დროულად შესრულება.

V. **ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ და გაზეთ „სახალხო განათლების“** რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ საკითხები მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, იზრუნონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისათვის.

თათბირი რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გარემოსილი საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოები, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები ყველაფერს გააკეთებენ ჩვენი პარტიის XX ყრილობის მიერ საშუალო განათლების არმქონე მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ისტორიული ამოცანის შესასრულებლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 27 აპრილის დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 416

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 19 აპრილი

ლანჩხუთის, ზესტაფონის, მახარაძის, მცხეთის, ახმეტისა და თელავის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ თელავის მე-2, მე-3, მე-5, ლანჩხუთის 1-ლი, მახარაძის 1-ლი, აბრეშუმის ფაბრიკის, გურიანთის ჩაის ფაბრიკის, ზესტაფონის მე-2 და ფერო-შენადნობთა ქარხნის საბავშვო ბაღები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

აღნიშნულ საბავშო ბაღებში განმტკიცებულია მატერიალური ბაზა: უზრუნველყოფილნი არიან შესაფერისი ბინებით, რბილი და მაგარი ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით. სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. მეცადინეობის და თამაშის შინაარსი აგებულია სახელმძღვანელოს პროგრამულ-მეთოდურ მითითებათა მიხედვით. ზუსტად სრულდება რეჟიმული მომენტები. ამ საბავშვო ბაღებში ბავშვები ჯანსაღად გამოიყურებიან.

შემოწმებული რაიონებიდან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს თელავის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ა. ნადაშვილი), რომელიც შესაფერის ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს მუშაობაში საბავშვო ბაღებს.

მაგრამ რიგ საბავშვო ბაღებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობები. შეუფერებელ ბინებში არიან ახმეტის, ზესტაფონის რაიონის რკინიგზის (გამგე თალაკვაძე), მახარაძის რაიონის გამაჯანსაღებელი, მცხეთის, ძეგვის, ქსნისა და მუხრანის საბავშვო ბაღები, ხოლო თელავის პირველი საბავშვო ბაღის შენობაში კერძო მცხოვრებლებია.

სუფსის, თელავის მე-4, ახმეტის, ზესტაფონის 1-ლი, მახარაძის

1-ლი, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ქსნისა და მუხრანის საბავშვო ბაღების შენობები საჭიროებენ აუცილებელ შეკეთებას.

საბავშვო ბაღების ერთ ნაწილს მოუვლელი და კეთილმოწყობელი აქვთ ეზოები, ხოლო მცხეთის, ძეგვის, ქსნის, ანასეულის საბავშვო ბაღებს სრულებით არ გააჩნიათ ეზოები.

საბავშვო ბაღების უმრავლესობა განიცდის მაგარი ინვენტარის დიდ ნაკლებობას.

ბინების სივიწროვისა და ინვენტარის უქონლობის გამო საბავშვო ბაღების უმეტესობას დღის ძილი არ აქვს მოწყობილი.

რიგ საბავშვო ბაღში ცუდათაა დაყენებული ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმე.

არადამაკმაყოფილებელია ახმეტისა და მცხეთის რაიონების საბავშვო ბაღების ნორმირებული პროდუქტებით მომარაგების საქმე. ბავშვთა კვება სრულიად დაბალკოლორიულია, ხოლო კვების თანხები კი აუთვისებელია.

ზოგი საბავშვო ბაღი არ არის დაკომპლექტებული შესაფერისი კადრით. მაგ., ზაჰესის საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობს ელექტრო-ინჟინერი ნ. ქებაძე, რომელიც ვერ ერკვევა სკოლამდელი აღზრდის ელემენტარულ საკითხებში.

ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის ზვანის პლანტაციის საბავშვო ბაღის აღმზრდელი კ. მჟავანაძე 8 წლიანი სკოლის განათლებითაა, ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის აღმზრდელს ა. ჩხეიძეს არასრული საშუალო განათლება აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მახარაძის რაიონში ანასეულისა და ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღებში არ არის დაცული საათების განაწილება აღმზრდელთა შორის, არ ჰყავთ შემცვლელი აღმზრდელები. ასევე დარღვეულია აღმზრდელთა საათების განაწილება ზესტაფონის ფეროშენადნობათა ქარხნის საბავშვო ბაღში.

ახმეტისა და სუფსის საბავშვო ბაღების გამგეები ვ. სიდამონიძე და დ. მიქანაძე შესაფერის ხელმძღვანელობას ვერ უწევენ თავიანთ დაწესებულებებს. საბავშვო ბაღებში უსუფთაობა და უწესრიგობაა, არ გააჩნიათ ინვენტარი, დარღვეულია დღის რეჟიმი.

ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზესტაფონის № 1 (გამგე ნ. მიქაშავიძე), და მუხრანის (გამგე ქ. ჩიქოვანი) საბავშვო ბაღებში. აღნიშნული საბავშვო ბაღების აღმზრდელები მ. საყვარელიძე და ელ. ტატიშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ბავშვთა

აღზრდის საქმეს. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პედაგოგიური გარემოს შექმნას, ბავშვების გარეგნობას, მათში კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების აღზრდას, მშობლებთან მუშაობასა და სხვ.

მახარაძის რაიონის გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღი (გამგე ცრამიშვილი) ვერ ამართლებს თავის სახელწოდებას. იგი არასწორადაა დაკომპლექტებული. საბავშვო ბაღს არა აქვს შესაფერისი პირობები ნორმალური მუშაობისათვის.

მახარაძის, მცხეთის და ახმეტის რაიონების საუწყებო საბავშვო ბაღები მეთოდური დახმარების გარეშეა მიტოვებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო ბაღის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური ახმეტის საბავშვო ბაღის გამგეს ვ. სიდამონიძეს.

აღინიშნოს სუფსის საბავშვო ბაღის გამგის დ. მიქანაძის გამოუცხადებლობა კოლეგიის სხდომაზე. დაევალოს ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებას დაადოს სასჯელი ამხ. დ. მიქანაძეს.

2. სუსტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის მიეთითოს ზესტაფონის საბავშვო ბაღის გამგეს ნ. მიქაშავიძეს და აღმზრდელს მ. საყვარელიძეს, ახმეტის საბავშვო ბაღის აღმზრდელებს: თ. აბესალაშვილს და ა. ჭურაძეს.

3. ეთხოვოს:

ა) საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს—ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ამხ. ნადარაია) საბავშვო ბაღებს შეუქმნას მუშაობისათვის საჭირო პირობები და პედაგოგთა სამუშაო საათები განაწილებულ იქნას არსებული წესის მიხედვით;

ბ) ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს (დირექტორი ამხ. ი. გამყრელიძე)—გააუმჯობესოს საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზა, სუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლოს სამუშაოდან ზვანის პლანტაციის საბავშვო ბაღის აღმზრდელი უ. მჟავანაძე. დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი ანასეულის საბავშვო ბაღის გამგეს ვ. კალანდაძეს და უზრუნველყოს საბავშვო ბაღები შესაფერისი კადრებით;

გ) საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს—მახარაძის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღს გამოუძებნოს

შესაფერისი ბინა, ხოლო ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს გ. ღლონტს და აღმზრდელს ლ. მეხუზლას დაადოს სასჯელი სუსტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის;

დ) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორს ამხ. რ. კვირკველიას—ქმედითი დახმარება გაუწიოს საბავშვო ბაღებს ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაობაში და მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, დაადოს სასჯელი საბავშვო ბაღის გამგეს ქ. ჩიქოვანსა და აღმზრდელს ელ. ტატიშვილს სუსტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის;

ე) „ზაჰესის“ დირექტორს ამხ. ა. ხეთაგურს—გაათავისუფლოს სამუშაოდან საბავშვო ბაღის გამგე ნ. ქებაძე, როგორც თავისი თანამდებობისათვის შეუფერებელი;

ვ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს—გააუმჯობესოს სამედიცინო მომსახურება ახმეტის, ლანჩხუთის, მცხეთისა და მახარაძის რაიონების საბავშვო ბაღებში.

4. დაევალოს ლანჩხუთის, ზესტაფონის, მახარაძის, მცხეთის, თელავისა და ახმეტის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უზრუნველყონ საბავშვო ბაღები რბილი და მაგარი ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით;

ბ) პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად შეამოწმონ საბავშვო ბაღები და უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი მეთოდგაერთიანების მუშაობაზე.

5. დაევალოს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილების უფროსს (ამხ. ს. არველაძეს) გააუმჯობესოს საბავშვო ბაღებისათვის საჭირო მაგარი ინვენტარის ხარისხი.

6. საბავშვო ბაღების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 13 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 423

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 19 აპრილი

მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული. მასწავლებელთა ერთი ნაწილი საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს აძლევს მტკიცე ცოდნას.

კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: რ. შკუბულიანი (ბოლნისის საშუალო სკოლა), ა. გაგუა (ბოლნისის რაიონის კაზრეთის საშუალო სკოლა), მ. მელიქიძე (მარნეულის რაიონის თამარისის საშუალო სკოლა); რუსული ენის მასწავლებელი ა. გოლოვკოვა (ბოლნისის რაიონის რატევანის რვაწლიანი სკოლა); მათემატიკის მასწავლებელი მ. ასლანოვი (არახლოს საშუალო სკოლა), ისტორიის მასწავლებელი ქ. მემარნიშვილი (თამარისის საშუალო სკოლა), გეოგრაფიის მასწავლებელი ა. მელიქიძე (თამარისის საშუალო სკოლა).

შაუმიანის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ა. გრიგორიანი კარგად არის დაუფლებული როგორც საგანს, ისე მისი სწავლების მეთოდებს. არცერთ გაკვეთილს არ ატარებს სათანადო ცდებისა და დემონსტრაციების გარეშე. ასევე კარგად მუშაობს არახლოს საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ჯ. აივაზოვი.

მაგრამ მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სუსტად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის

სწავლება მარნეულის რაიონის სიონის 8 წლიან სკოლაში. მასწავლებელი თ. ფურცელაძე მხატვრულ ნაწარმოებს ასწავლის ზეპირ-ლედ, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი თ. აბრამიშვილი ენის სწავლებას არ უკავშირებს ლიტერატურულ მასალას.

კაზრეთის საშუალო სკოლის V კლასის ქართული ენის მასწავლებელი თ. პავლიაშვილი საკლასო წერას მოუმზადებლად ატარებს, ნაშრომებს გულდასმით არ ასწორებს და არაობიექტურად აფასებს.

სუსტად ისწავლება რუსული ენა მარნეულის ქართულ რვაწლიან სკოლაში (მასწ. გ. შუბითიძე). ძალიან დაბალია ამ სკოლის VII—VIII კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონე. მოსწავლეებმა არ იციან მეტყველების ნაწილები, წარმოდგენა არა აქვთ არსებითი სახელების ბრუნებაზე; თვით მასწავლებელი სუსტად ფლობს რუსულ ენას.

რუსული ენის უცოდინარობა გამოამჟღავნეს სიონის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა. მაო ვერ შესძლეს ზმნის ულლება აწმყო დროში (მასწ. ვ. კუპატაძე). ძალზე დაბალია VIII—XI კლასების მოსწავლეთა მომზადება თამარისის (მასწ. ვ. ზოდელავა), დარბაზის (მასწ. ს. კვეს), არახლოს (მასწ. გ. ტორონჯაძე) საშუალო სკოლებში, მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალის შინაარსი, არა აქვთ სიტყვების საკმაო მარაგი. განსაკუთრებით დაბალია არახლოს საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა (მასწ. გ. ტორონჯაძე). მოსწავლეთა მიერ წერითი სამუშაოები არ არის შესრულებული დამოუკიდებლად. მასწ. გ. ტორონჯაძე არ აწარმოებს მუშაობას კლასთან შეცდომების გასწორებაზე. მის მიერ არ არის გასწორებული მოსწავლეების მიერ დაშვებული ყველა შეცდომა. ამ სკოლაში რუსული ენის საგნობრივ კომისიას, რომლის თავმჯდომარე გ. ტორონჯაძეა, არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია.

ცუდად ასწავლის არითმეტიკას აკაურთის 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი ნ. იასაშვილი, მას არა აქვს სპეციალური განათლება და არადამაკმაყოფილებლად იცის არითმეტიკა.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა რატევანის 8 წლიან სკოლაში. მასწ. მ. უნგიაძეს აგრეთვე არა აქვს სპეციალური განათლება. აღსანიშნავია, რომ საკონტროლო წერის რვეულებში

მოსწავლეების მიერ გადაუწყვეტელ ამოცანებს და მაგალითებს თვითონ მასწავლებელი წყვეტს და აფასებს დადებითი ნიშნით.

დაბალ მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს აკაურთის 8 წლიანი სკოლის აზერბაიჯანული სექტორის მათემატიკის მასწავლებელი მ. მამედოვი.

ძლიერ დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ალგებრაში მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ს. ბრეგვაძე), ალგებრაში ჩატარებული წერის შედეგად 19 მოსწავლიდან დამაკმაყოფილებელი შეფასება მხოლოდ ერთმა მიიღო.

საპროგრამო მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ალგებრაში კაზრეთის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. რ. ათაბეგოვი).

შემოწმებულ სკოლებში კარადები ფიზიკის ხელსაწყო-იარაღებით მოთავსებულია საკლასო ოთახებში ან სამასწავლებლოში, ზოგან კი ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული. ცუდად არის დაყენებული ფიზიკის ხელსაწყო იარაღების მოვლის საქმე. სიონის 8 წლიან სკოლაში (დირექტორი ი. ჯიქია) ფიზიკის მასწავლებელ მ. ქართველიშვილს ვერ მოუხერხებია ერთ კარადაში მოთავსებული 30 დასახელების ხელსაწყო-იარაღების აღწერა და საინვენტარო წიგნში გატარება.

ძალიან დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება მარნეულის ქართულ 8 წლიან სკოლაში (მასწ. მ. კაპანაძე).

ანალოგიური მდგომარეობაა წერაქვის საშუალო (მასწ. ვ. გვაზავა) და აკაურთის 8 წლიან (მასწ. ნ. ბუტიკაშვილი) სკოლებში.

რატევანის 8 წლიან სკოლაში ფიზიკას ასწავლის არასპეციალისტი პ. კაპანაძე, რომელმაც სკოლაში არსებული ფიზიკის ხელსაწყოების სახელწოდებაც კი არ იცის. ზემოდასახელებულ სკოლებში უმარტივესი სახის სადემონსტრაციო ცდებიც კი არ ტარდება. მოსწავლეებში არ არის გამომუშავებული ისეთი პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები, როგორიცაა ფართობის გაზომვა სახაზავითა და რულეტით, ძალის გაზომვა დინამომეტრით, ძაბვის და დენის ძალის გაზომვა შესაბამისი ხელსაწყოებით, ელექტრული წრედის შედგენა და სხვ.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ისტორიაში სიონის (მასწავლებელი ჯიქია) და აკაურთის (მასწ. თარხნიშვილი) რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა.

არცერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და არ ახდენენ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია წერაქვის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ ჯ. ხარიბეგაშვილის მომზადების დონე. იგი არ კითხულობს მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას და არ იცნობს პარტიის XX ყრილობის მასალებს. ანალოგიური მდგომარეობაა აკაურთის 8 წლიანი სკოლის აზერბაიჯანულ სექტორზე (მასწ. მ. შაბანოვი).

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალი საგნების სწავლება.

სკოლებში არ არის მოწყობილი სასწავლო-სახელოსნოები და მანქანათმცოდნეობის კაბინეტები. შევსებული არ არის ფიზიკის კაბინეტები ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყოებით და მასალით. მარნეულის რუსული საშუალო სკოლისათვის შეფს გადაუცია ავტომანქანა და ავტომანქანის ზოგიერთი ნაწილი, მაგრამ ბინის უქონლობის გამო კაბინეტი არ მოუწყვიათ.

ბოლნისის რაიონის 29 სკოლას არა აქვს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთი არა აქვთ აგრეთვე მარნეულის რაიონის წერაქვის საშუალო, სიონის და მარნეულის ქართულ 8 წლიან სკოლებს.

რატევანის 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი მ. უნგიაძე მეხუთე კლასში გაკვეთილს თემაზე—საგაზაფხულო სამუშაოები მიწის ნაკვეთზე—საკლასო ოთახში ატარებს, ყოველგვარი თვალსაჩინოებისა და პრაქტიკული მუშაობის გარეშე, რადგან სასწავლო-საცდელი ნაკვეთი სკოლიდან დაცილებულია რამდენიმე კილომეტრით.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწ. ნაწილის გამგე იშვიათად ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ხოლო დასწრების შემთხვევაში არ იძლევა მოსმენილი გაკვეთილების ღრმა ანალიზს.

მიმდინარე სასწავლო წელს მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლის დირექტორს შ. რთველიაშვილს მოსმენილი აქვს 35, წერაქვის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ასანიძეს—41, დარბაზის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მ. გუსეინოვს—39 გაკვეთილი, თანაც მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზერელეა და არაფრის მთქმელი.

დარბაზის, წერაქვის საშუალო, მარნეულის ქართულ და აკაურთის 8 წლიან სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხი-

Г-1941.

ლულია სასწავლო წლის I და II მეოთხედების შედეგები, მაგრამ არ გაუკეთებიათ ცალკეული საგნების სწავლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის ღრმა ანალიზი. სიონის 8 წლიან სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც არ წარმოადგენენ პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანს.

სრულიად ჩაშლილია მეთოდური მუშაობა მარნეულის ქართულ და სიონის 8 წლიან სკოლებში; თამარისის, კაზრეთის საშუალო და აკაურთის 8 წლიან სკოლებში საგნობრივ-მეთოდ კომისიებში წაკითხული მოხსენებები ზოგადი თეორიული ხასიათისაა და არ ასახავენ მასწავლებლის პრაქტიკულ გამოცდილებას მოცემული საგნის სწავლების უკეთ დაყენების საქმეში.

დაუდევრად არის შედგენილი კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები, სუსტია მოსწავლეთა შორის აღშზრდელობითი მუშაობა.

მოსწავლეთა მორიგეობის მოუწესრიგებლობის გამო, დასვენების პერიოდში მოსწავლეები უმეთვალყურეოდ არიან დარჩენილი, რის შედეგადაც დარბაზის საშუალო სკოლაში ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას.

წერაქვის საშუალო, სიონისა და აკაურთის 8 წლიან სკოლებში სწორად არ არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი.

დაბალია აკადემიური მოსწრება: სასწავლო წლის პირველ ნახევარში ბოლნისის რაიონის სკოლების 6915 შეფასებული მოსწავლიდან ასწრებდა 4941 (71,5%.) უფრო სავალალო მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში. მაგ., მარნეულის რუსულ საშუალო სკოლაში 624 მოსწავლიდან ასწრებს 435, ვერ ასწრებს 189, ხოლო 57 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 32, აკაურთის 8 წლიან სკოლაში 249 მოსწავლიდან ასწრებს 184, ვერ ასწრებს 79, ხოლო 42 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 15, კაზრეთის საშუალო სკოლაში 112 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 34, ხოლო 10 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 6.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი. მარნეულის რაიონის სკოლებში 1955/56 სასწავლო წლის გეგმით უნდა ჩაბმულიყო 11.608 მოსწავლე, ფაქტიურად 5 სექტემბრისათვის ირიცხებოდა 11.215 მოსწავლე ე. ი. 393 მოსწავლით ნაკლები. მ/სასწავლო წლის I ნახევარში რაიონის სკოლებიდან განითესა 411 მოსწავლე. მიღებული ზომების შედეგად III მეოთხედში დაბრუნებულ იქნა 76 მოსწავლე.

ბოლნისის რაიონის სკოლებში გეგმით უნდა ჩაბმულიყო 7828 მოსწავლე, ფაქტიურად ჩაბმულია 7351 მოსწავლე, ე. ი. 476 მოსწავლით ნაკლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლიდან (დირექტორი შ. რთველიაშვილი) განთესილია 22, ამავე რაიონის წერაქვის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ასანიძე)—5, ბოლნისის რაიონის დარბაზის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. მურადოვი)—17, ამავე რაიონის აკაურთის 8 წლიანი სკოლიდან (დირექტორი დ. ამირასლანოვი)—15 ბავშვი.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა. 12 მარტს სკოლაში არ გამოცხადებულა მარნეულის 8 წლიანი სკოლის დირექტორი შ. რთველიაშვილი, 15 მარტს სიონის 8 წლიან სკოლაში არ გამოცხადებულან მათემატიკა-ფიზიკისა და რუსული ენის მასწავლებლები მ. ქართველიშვილი, ვ. კუპატაძე. V—VIII კლასებში მხოლოდ 2—3 გაკვეთილი ჩატარდა.

დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. არაზუსტი ცნობებით სასწავლო წლის პირველ ნახევარში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია მარნეულის რაიონში 81.839 გაკვეთილი, ხოლო ბოლნისის რაიონში 76.125 გაკვეთილი. ზოგიერთი სკოლა ხელოვნურად ამცირებს გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობას. მაგ., მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლის VIII კლასში II მეოთხედში სულ გაცდენილია 504 გაკვეთილი. განათლების განყოფილებაში კი წარდგენილია ცნობა 61 გაკვეთილის გაცდენის შესახებ. ანალოგიური მდგომარეობაა დარბაზის საშუალო სკოლაში. ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი მასწავლებელთა სათანადო კადრებით. მაგ., სიონის 8 წლიან სკოლაში ორი წელია არ ისწავლება უცხო ენა, თამარისის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის პირველ ნახევარში არ ისწავლებოდა უცხო ენა, ხოლო მარნეულის 8 წლიანი სკოლის II—IV კლასებში—რუსული ენა.

ზოგ სკოლაში მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, მოსწავლეებს არა აქვთ დაბადების მოწმობები, პირად საქმეში არ არის ჩაწერილი პედაგოგიური დახასიათება, ცნობები მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ და სხვ. მარნეულის 8 წლიანი სკოლის პირველი კლასის 22 მოსწავლიდან დაბადების მოწმობა აქვს მხოლოდ 2-ს. მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები. მასწავლებელთა დიდ ნაწილს აკლია განათლებისა და წელთა ნამსახუ-

რობის დამადასტურებელი საბუთები და განათლების სამინისტროს ბრძანებები სამუშაოზე დანიშვნის შესახებ. სრულიად არა აქვთ მასწავლებელთა პირადი საქმეები მარნეულის 8 წლიან, წერაქვის საშუალო, აკაურთის 8 წლიან და კაზრეთის საშუალო სკოლებს.

არ ტარდება სათანადო მუშაობა სკოლისა და მისი ეზო-კარმიდამოს კეთილმოწყობისათვის. შემოუღობავი და მოუვლელია მარნეულის 8 წლიანი (დირექტორი შ. რთველიაშვილი), სიონის 8 წლიანი (დირექტორი შ. ჯიქია), წერაქვის საშუალო (დირექტორი შ. ასანიძე), აკაურთის 8 წლიანი (დირექტორი დ. ამირასლანოვი) და დარბაზის საშუალო (დირექტორი მ. მურადოვი) სკოლების ეზოები. აღნიშნულ სკოლებში აგრეთვე არ არის დაცული სანიტ-ჰიგიენური პირობები. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ მარნეულის 8 წლიან სკოლაში. სკოლებში ნაკლებად ტარდება მუშაობა მოსწავლეთა შორის კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი გ. ართმელაძე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი სწავლების მაღალ დონეზე დასაყენებლად; მარნეულის რუსული, კაზრეთის საშუალო და აკაურთის 8 წლიანი სკოლების დირექტორებმა გადაჭრით გააძლიერონ მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან და უზრუნველყონ სასწავლო წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრება;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ საგნობრივი მეთოდური კომისიების მუშაობა;

გ) უზრუნველყონ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, გააძლიერონ მუშაობა მოსწავლეთა შორის პირადი ჰიგიენისა და კულტურული ჩვევების დანერგვისათვის;

დ) სრულ წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტაცია;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა მორიგეობას, არ დაუშვან მოსწავლეთა უმეთვალყურეოდ დატოვება დასვენების პერიოდში.

II. მასწავლებლებმა:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ პარტიის XX ყრილობის მასალები და სათანადოდ გაითვალისწინონ იგი ცალკეული საკითხების სწავლებისას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს მისცენ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე და შეგნებული ცოდნა;

გ) გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები და სისტემატურად აწარმოონ კლასებში მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება.

3. მარნეულისა და ბოლნისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სკოლის მუშაობის შესწავლის შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის;

ბ) სკოლების დირექტორებთან ერთად დააზუსტონ სკოლას ჩამოშორებულ მოსწავლეთა რაოდენობა და უზრუნველყონ მომავალი სასწავლო წლისათვის შესაბამის კლასებში მათი მთლიანად ჩაბმა;

გ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა სკოლას ჰქონდეს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი; სკოლის დირექტორებთან და საშეფო ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლებში სასწავლო-სახელოსნოების მოსაწყობად და საჭირო იარაღ-ხელსაწყოებითა და რეაქტივებით ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების შესავსებად;

დ) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა მუშაობაზე, აღმოუჩინონ მათ დახმარება და მიაღწიონ მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. სკოლის იმ მუშაკებზე, რომლებიც ვერ გააუმჯობესებენ მუშაობას მიმდინარე სასწავლო-წლის ბოლოს, სათანადო წესის დაცვით, დააყენონ საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე თანამდებობიდან მათი განთავისუფლების შესახებ.

4. ბოლნისის რაიონის დარბაზის საშუალო სკოლის მასწავლებელი მადატ მუსტაფოღლი, რომელმაც დაარღვია სკოლის შინაგანაწესი, არ შეასრულა მორიგეობა, უმეთვალყურეოდ დატოვა მოსწავლეები, რამაც გამოიწვია მოსწავლის დაღუპვა, მიცემულ იქნას პა-

სუხისგებაში და სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ განხილული იქნას მისი მასწავლებლად დატოვების საკითხი.

5. ამავე სკოლის I კლასის მასწავლებელს გუსეინოვ რუსტამ მამედოღლის მოსწავლეების უმეთვალყურეოდ დატოვებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. საგნის უცოდინარობის გამო, ახალ სასწავლო წელს ჩამოერთვას არითმეტიკის გაკვეთილები აკაურთისა და რატევანის 8 წლიანი სკოლის მასწავლებლებს ნ. იასაშვილს და მ. უნგიაძეს.

7. მარნეულის რაიონის სასკოლო ინსპექტორს გ. ართმელაძეს სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნას, რომ თუ იგი არსებითად არ გააუმჯობესებს მუშაობას განთავისუფლებული იქნება თანამდებობიდან.

8. მარნეულის ქართული და სიონის 8 წლიანი სკოლების დირექტორებს და დარბაზის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. შ. რთველიაშვილს, ი. ჯიქიას და მ. გუსეინოვს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

9. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—თ. ფურცელაძეს (მარნეულის რაიონის სიონის 8 წლიანი სკოლა), თ. აბრამიშვილს (მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლა); რუსული ენის მასწავლებლებს—მ. შუბითიძეს (მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლა), მ. ტორონჯაძეს (ბოლნისის რაიონის არახლოს საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებელ ს. ბრეგვაძეს (მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლა); ფიზიკის მასწავლებლებს—მ. კაპანაძეს (მარნეულის ქართული 8 წლიანი სკოლა), პ. კაპანაძეს (ბოლნისის რაიონის რატევანის 8 წლიანი სკოლა), ნ. ბუტიკაშვილს (ბოლნისის რაიონის აკაურთის 8 წლიანი სკოლა).

10. მიღებულ იქნას ცნობად, რომ დარბაზის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. მ. მურადოვს უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით დაედო სათანადო სასჯელი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 13 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე
1956 წლის 24 აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ასაკგადაცილებულთა სკოლებისა და კლასების შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. ასაკგადაცილებულთა შვიდწლიანი სკოლები და კლასები იხსნება მასობრივი სკოლის უფლებით იმ მოსწავლეთათვის, რომელთა ასაკი 3 და მეტი წლით აღემატება შესაბამისი კლასის მოსწავლეთა ნორმალურ ასაკს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ასაკგადაცილებულთა სკოლებსა და კლასებში არ მიიღებიან:

ა) ასაკგადაცილებულნი, რომელნიც საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სოფლის მეურნეობაში მუშაობენ;

ბ) გონებით ჩამორჩენილი, ორგანული დაავადების მქონე, ფსიქონევროტიკი და ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევისათვის სკოლებიდან გამორიცხული ასაკგადაცილებულნი.

2. ასაკგადაცილებულთა სკოლებისა და კლასების ამოცანაა:

ასაკგადაცილებულ მოსწავლეებს მისცეს განათლების მიღების საშუალება შვიდწლიანი სკოლის პროგრამის ფარგლებში, აღზარდოს ისინი კომუნისტური მორალის, ორგანიზებულობისა და შეგნებული დისციპლინის, ამხანაგური ურთიერთდახმარების და კოლექტივისადმი პატივისცემის სულისკვეთებით;

გამოიმუშაოს მათში მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ერთგვარი შრომითი ჩვევები.

3. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ასაკგადაცილებულთა სკოლები ატარებენ:

ა) სასწავლო მეცადინეობას შვიდწლიანი სკოლის სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით;

ბ) მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე;

გ) კლასგარეშე კულტურულ-მასობრივ და საწრეო მუშაობას;

დ) გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

4. ასაკგადაცილებულთა სკოლები არსდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით იმ პირობით, რომ სკოლას ექნეს სათანადო სასწავლო შენობა, კარგად მოწყობილი სასწავლო-საწარმოო სახელოსნო და არანაკლებ სამი კლასისა 25 მოსწავლით თითოეულში.

5. ასაკგადაცილებულთა ცალკე კლასები შეიძლება გაიხსნას მასობრივ დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებთან, იმ შემთხვევაში თუ კლასში იქნება 25 ასაკგადაცილებული. ეს კლასები ამ სკოლის შემადგენლობაში შედის.

აუცილებელ შემთხვევაში ასაკგადაცილებულთა ცალკე კლასები რაიონის (ქალაქის) აღმასკომის ნებართვით შეიძლება გაიხსნას 15 მოსწავლისათვისაც.

6. ასაკგადაცილებულთა სკოლები და კლასები განათლების განყოფილებათა გამგებლობაში არსებობენ; მათ ეკისრებათ ამ სკოლების მუშაობისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი. სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით ამ სკოლებსა და კლასებს ამარაგებს განათლების განყოფილება მასობრივი შვიდწლიანი სკოლის თანაბრად.

7. ასაკგადაცილებულთა სკოლები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ მასობრივი შვიდწლიანი სკოლებისათვის დადგენილი დებულებებითა და ინსტრუქციებით. ასაკგადაცილებულთა სკოლებსა და კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს 10-დან 25 აგვისტომდე. ასაკგადაცილებულთა სკოლაში ჩარიცხვა სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (მშობლების საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა).

8. ასაკგადაცილებულთა აღრიცხვა წარმოებს სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

9. ასაკგადაცილებულთა სკოლებში იქმნება მოსწავლეთა, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სათანადო დებულებათა საფუძველზე.

10. ასაკგადაცილებულთა სკოლები აწარმოებენ მშობლებთან მუშაობას, ეწევიან პედაგოგიურ პროპაგანდას და მშობლებს აბამენ სკოლის მუშაობაში.

ასაკგადაცილებულთა სკოლებში ყალიბდება მშობელთა კომი-

ტეტი, რომელიც მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო დებულების საფუძველზე.

11. ასაკგადაცილებულთა შვიდწლიანი სკოლების მოსწავლეებს სამედიცინო მომსახურებას უწევს ექიმი, რომელიც პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ატარებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

12. ასაკგადაცილებულთა თითოეულ სკოლასთან უნდა მოეწყოს სპორტული მოედანი.

13. ასაკგადაცილებულთა სკოლაში ან კლასში შესვლისას მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობა, მშობლის განცხადება, ცნობები ჯანმრთელობისა და იმის შესახებ, თუ მასობრივი სკოლის რომელ კლასში სწავლობდა. ამ უკანასკნელი ცნობის უქონლობის შემთხვევაში ასაკგადაცილებულთა ჩარიცხვა შესაბამის კლასში ხდება მასწავლებელთა შემოწმებითი გასაუბრების საფუძველზე.

II სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია

1. სასწავლო წელი ასაკგადაცილებულთა სკოლებსა და კლასებში იწყება და მთავრდება მასობრივი სკოლებისათვის დაწესებულ ვადებში.

2. ასაკგადაცილებულთა სკოლები და კლასები მუშაობენ მასობრივი შვიდწლიანი სკოლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით.

შრომასა და პრაქტიკულ მეცადინეობას ასაკგადაცილებულთა სკოლებში ეთმობა დაწყებით კლასებში ოთხ-ოთხი, ხოლო V—VII კლასებში ექვს-ექვსი საათი კვირაში.

3. ასაკგადაცილებულთა სკოლებსა და კლასებში სასწავლო მუშაობის ძირითადი ფორმა არის გაკვეთილი, რომელსაც მტკიცე ცხრილის მიხედვით ატარებს მასწავლებელი განსაზღვრულ კლასთან და მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობასთან.

4. ასაკგადაცილებულთა სკოლებში იქმნება კარგად მოწყობილი სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები.

სახელოსნოების საწარმოო პროფილს ამტკიცებს რაიონის განათლების განყოფილება.

სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში სწავლება ხორციელდება მოსწავლეების მიერ განსაზღვრული საწარმოო დავალების შესრულების გზით და პირველ რიგში მიზნად ისახავს იმას, რომ მოს-

წავლეებში აღზარდოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, შრომითი დისციპლინა და მისცეს მოსწავლეებს ისეთი შრომითი ცოდნა-ჩვევები, რაც შემდეგში საშუალებას მისცემს მათ მიიღონ გარკვეული კვალიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოების უზრუნველყოფა დაკვეთებით, მასალებით, მოწყობილობითა და ხელსაწყოებით ევალება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას და ადგილობრივი მრეწველობის ორგანოებს.

5. ასაკგადაცილებულთა სკოლებსა და კლასებში მოსწავლეთა თვითმოქმედების საფუძველზე ფართოდ ეწყობა კულტურულ-საგანმანათლებლო და საწრეო მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, რომელშიც ყველა მოსწავლე უნდა იქნეს ჩაბმული.

6. ასაკგადაცილებულთა სკოლებში შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის ნორმები სკოლასა და სკოლის გარეთ დგინდება დამტკიცებული „წესებით მოსწავლეთათვის" და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „შინაგანაწესით".

7. შვიდწლიანი სკოლის კურსზე ასაკგადაცილებულნი გამოცდებს აბარებენ „დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ" დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

III. ასაკგადაცილებულთა სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური შემადგენლობა

1. ასაკგადაცილებულთა შვიდწლიან სკოლას სათავეში უდგას დირექტორი. სკოლის დირექტორს ეკისრება სკოლის მთელი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელია ასაკგადაცილებულთა სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციაზე.

2, სასწავლო ნაწილის გამგე სკოლის დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სწორი ორგანიზაციისა, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისა და მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობაზე. სკოლის დირექტორის სკოლაში არყოფნის დროს სასწავლო ნაწილის გამგე ასრულებს დირექტორის მოვალეობას.

3. ასაკგადაცილებულთა შვიდწლიანი სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგისა და მასწავლებელთა დანიშვნა წარმოებს მასობრივი სკოლისათვის არსებული წესის თანახმად.

4. ასაკგადაცილებულთა შვიდწლიანი სკოლებისა და კლასების

დირექტორები და მასწავლებლები სარგებლობენ დაწესებული შეღავათებით და მათი შრომის ანაზღაურება ხდება დადგენილი განაკვეთების მიხედვით.

5. კლასების მიხედვით მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაციისა, მოსწავლეთა სწავლებასა და ქცევაზე ყოველდღიური დაკვირვებისა და დახმარების გასაწევად ასაკგადაცილებულთა სკოლის დირექტორი ამ სკოლის მასწავლებელთაგან ნიშნავს კლასის ხელმძღვანელებს.

6. ასაკგადაცილებულთა სკოლების დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს, აგრეთვე ამავე სკოლებისა და კლასების მასწავლებლებს სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ეძლევათ მორიგი შვებულება 48 სამუშაო დღის რაოდენობით.

IV. პედაგოგიური საბჭო

ასაკგადაცილებულთა სკოლების პედაგოგიური საბჭო მუშაობს სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობითა და თავმჯდომარეობით. პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სასწავლო ნაწილის გამგე, ყველა მასწავლებელი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბიბლიოთეკის გამგე, პიონერხელმძღვანელი და სკოლის ექიმი. პედაგოგიური საბჭო მუშაობს სკოლის პედაგოგიური საბჭოს შესახებ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით.

V. ინტერნატი

სოფელ ადგილებში ასაკგადაცილებულთა სკოლებთან შეიძლება მოეწყოს ინტერნატი სასკოლო ინტერნატის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

VI. დაფინანსება და ანგარიშგება

1. ასაკგადაცილებულთა სკოლები სარგებლობენ მასობრივი შვიდწლიანი სკოლების ყველა უფლებით და აქვთ თავიანთი წლი-

ური ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მიერ.

2. ასაკგადაცილებულთა შვიდწლიანი სკოლების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან. სახელოსნოებიდან მიღებული შემოსავალი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით იხარჯება სახელოსნოს ხელსაწყოებსა და მოწყობილობათა შესაძენად, საზაფხულო-გამაჯანსაღებელ და კლასგარეშე ღონისძიებებზე, სახელოსნოებში მომუშავე მოსწავლეთათვის სპეციალური ტანსაცმელის შესაძენად, ცხელი საუზმის მოსაწყობად.

3. ასაკგადაცილებულთა სკოლები საქმისწარმოებასა და ანგარიშგებას აწარმოებენ იმ ფორმითა და ვადებში, რაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ არის დადგენილი და პერიოდულად ანგარიშს აბარებენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

4. ასაკგადაცილებულთა სკოლას ენიჭება იურიდიული პირის უფლებები და აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის ბეჭედი.

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
1956 წლის 24 აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულება

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლების შესახებ

I ზოგადი დებულებანი

1. განსაკუთრებული რეჟიმის შვიდწლიანი სკოლები არსდება იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც სისტემატურად არღვევენ სასკოლო დისციპლინას, დეზორგანიზაცია შეაქვთ სასკოლო მუშაობაში და თავისი ყოფაქცევით უარყოფით გავლენას ახდენენ დანარჩენ მოსწავლეებზე.

2. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლები წარმოადგენენ დახურული ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ შემდეგი ამოცანები:

ა) მისცენ მოსწავლეებს მტკიცე ცოდნა შვიდწლიანი სკოლის პროგრამების ფარგლებში;

ბ) აღზარდონ მოსწავლეები კომუნისტური მორალის, ორგანიზებულობისა და შეგნებული დისციპლინის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და კოლექტივისადმი პატივისცემის სულისკვეთებით; აღზარდონ მათში პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი შრომისა და ყოფაქცევისათვის სკოლასა და სკოლის გარეთ, მისწრაფება ცოდნისადმი და შრომისმოყვარეობა;

გ) გამოუმუშაონ მოსწავლეებს შრომითი ჩვევები სკოლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ გარკვეული კვალიფიკაციის მიღებას;

დ) შექმნან საჭირო პირობები მოსწავლეთა უნარის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათი სწორი ფიზიკური აღზრდისა და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

3. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლები არსდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლა-ინტერნატებისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმით დადგენილი კონტინგენტის ფარგლებში, იმ პირობით, რომ ამ სკოლას ექნეს სათანადო სასწავლო შენობები მეცადინეობის ერთ ცვლაში ჩასატარებლად, კარგად

მოწყობილი კაბინეტები, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები (არანაკლებ ორისა), ინტერნატები მოსწავლეთა მთელი კონტინგენტისათვის, სპორტული მოედანი, სასწავლო-საცდელი ნაკვეთები და დამხმარე მეურნეობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განსაკუთრებული რეჟიმის შვიდწლიან სკოლებს აქვთ V—VII კლასები (ცალკეულ შემთხვევაში ადგილობრივი აღმასკომების გადაწყვეტილებით ამ სკოლებში შეიძლება გაიხსნას IV კლასებიც). მოსწავლეთა საერთო რიცხვი სკოლაში არ უნდა აღემატებოდეს 200 კაცს, ხოლო კლასში—20 კაცს.

5. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის ყველა მოსწავლე უნდა ცხოვრობდეს სკოლასთან არსებულ ინტერნატში.

II. მოსწავლეთა მიღება და სკოლიდან გამოშვება

1. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში იმ მოსწავლის გაგზავნის საკითხს, რომელიც სისტემატურად და უხეშად არღვევს დისციპლინას, სწყვეტს სკოლის პედაგოგიური საბჭო მას შემდეგ, რაც ამ მოსწავლის მიმართ გამოყენებული იქნება პედაგოგიური ზემოქმედების ყველა საშუალება სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, მშობლების, მშობელთა კომიტეტის, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მხრივ.

ამ სკოლის შესახებ პედაგოგიური საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილება, მოსწავლის დაწვრილებითი დახასიათება, ცნობები მისი ყოფაქცევისა და მოსწრების შესახებ სკოლაში ყოფნის მთელი წლების მანძილზე რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების დასკვნასთან ერთად განსახილველად და დასამტკიცებლად ეგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

2. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლებში მოსწავლეთა მიღება სწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურით, წელიწადში ერთხელ, 10-დან 25 აგვისტომდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში არ შეიძლება გაიგზავნოს გონებით ჩამორჩენილი, ფსიქოპატი, ფსიქონევროტიკი, ორგანული დაავადების მქონე ბავშვები და აგრეთვე მოზარდნი, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და გასაგზავნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლონიაში.

3. მოსწავლე, რომელიც გაიგზავნება განსაკუთრებული რეჟიმის შვიდწლიან სკოლაში, როგორც წესი, უნდა სწავლობდეს ამ სკოლაში კურსის დამთავრებამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მოსწავლენი მთელი სასწავლო წლის მანძილზე გამოიჩენენ თავისი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობასა და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას და მათ ყოფაქცევაში ყველა მეოთხედის მიხედვით ექნებათ ნიშანი „5“, სკოლის პედაგოგიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით სასწავლო წლის ბოლოს შეიძლება გაიგზავნონ საყოველთაო სწავლების ჩვეულებრივ სკოლაში.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ ძალაში შედის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

4. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მოსწავლეთა მიერ დისციპლინისა და სკოლის დადგენილი რეჟიმის სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში პედაგოგიურ საბჭოს ნება ეძლევა განათლების ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე დააყენონ საკითხი ამ მოსწავლის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლონიაში გაგზავნის შესახებ.

III. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

1. სასწავლო მუშაობა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში ტარდება მასობრივი სკოლის სასწავლო გეგმითა და პროგრამებით, გარდა შრომის გაკვეთილებისა V—VII კლასებში, რისთვისაც მასობრივი სკოლის სასწავლო გეგმის ზევით კვირაში თითოეული კლასისათვის გამოყოფილია 8 საათი.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა მეცადინეობას შრომაში ატარებს ამ სკოლისათვის სპეციალურად შედგენილი პროგრამით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში გაიხსნება IV კლასი, შრომის გაკვეთილებს ამ კლასში ეთმობა კვირეული 5 საათი მასობრივი სკოლის პროგრამის ზევით.

2. სასწავლო წელი განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში იწყება და მთავრდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მასობრივი სკოლების შესაბამისი კლასებისათვის დადგენილ ვადებში.

3. სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც ატარებს მასწავლებელი გარკვეულ კლასში მტკიცე ცხრილის მიხედვით, კლასის მუდმივ შემადგენლობასთან, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. გაკვეთილის ხანგრძლიობა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში დგინდება ისევე, როგორც მასობრივ სკოლაში—45 წუთი, პირველი, მესამე და მეოთხე დასვენების ხანგრძლიობა—10 წუთი, მეორე დასვენებისა—30 წუთი.

5. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მოსწავლეები აბარებენ გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნა მოწმდება აგრეთვე პროფესიულ-შრომითს მომზადებაში სკოლასთან შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ.

განსაკუთრებული რეჟიმის შვიდწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი ღებულობენ სკოლებისათვის დადგენილი ნიმუშის მოწმობას და სკოლაში მიღებული შრომითი კვალიფიკაციის საბუთს.

6. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის კლასგარეშე მუშაობას მოსწავლეთა ფართო თვითმოქმედების საფუძველზე, აგრეთვე მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას მოსწავლეთა მიდრეკილებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლაში ეწყობა სხვადასხვა წრეები (ტექნიკური, საგნობრივი, ფიზკულტურული, მხატვრული თვითმოქმედების) გუნდი, ორკესტრი (სასულე ან სიმებიანი) და რეგულარულად სწარმოებს კინოსურათების ჩვენება.

7. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლები მთელ მუშაობას მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის აღზრდისათვის აგებენ „მოსწავლეთა წესებისა“ და განათლების სამინისტროს ბრძანების („სკოლებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ“) საფუძველზე და უზრუნველყოფენ დადგენილი დღის რეჟიმისა და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის ზუსტად დაცვასა და გატარებას.

8. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლებში იქმნება პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები.

9. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლები ატარებენ მუშაობას მშობლებთან, მათ შორის ეწევიან პედაგოგიურ პროპაგანდას და იზიდავენ მათ სკოლის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

სკოლაში ყალიბდება მშობელთა კომიტეტი, რომელიც მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მშობელთა კომიტეტის შესახებ არსებული დებულების საფუძველზე.

10. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მოსწავლეები გაიშვებიან

მშობლებთან 1 თვით ზაფხულის არდადეგების პერიოდში. საზაფხულო არდადეგების დანარჩენი დროის განმავლობაში ისინი იმყოფებიან სკოლის გამჯანსაღებელ ბანაკში და მუშაობენ სკოლის დამხმარე მეურნეობაში. ზამთრისა და გაზაფხულის არდადეგებზე მოსწავლეები იმყოფებიან სკოლაში, სადაც მათთვის ეწყობა კულტურული დასვენება, მასობრივი კლასგარეშე და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის ტერიტორიის გარეთ მოსწავლეთა გასვლა დასაშვებია მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით დადგენილ საათებში და აღმზრდელთა ნებართვით ყოველ ცალკე შემთხვევაში.

11. მშობელთა მიერ განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მოსწავლეთა ნახვა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ მეოთხედში.

მშობლების მიერ მოსწავლეთათვის რაიმე საჩუქრების მიტანა და გადაცემა აკრძალულია.

12. მოსწავლეებს სამედიცინო მომსახურებას უწევს ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სამედიცინო და პროფილაქტიკური შემოწმების გატარებას, კონტროლს მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და საჭმელის ხარისხზე, ღებულობს მონაწილეობას დღის რეჟიმის შედგენაში და ყველა გამჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებაში (დილის ვარჯიში, სპორტი და ა. შ.).

IV. პროფესიულ-შრომითი სწავლება

1. პროფესიულ-შრომითი სწავლება განსაკუთრებული რეჟიმის სკოლებში მიზნად ისახავს მოსწავლეებში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, შრომითი დისციპლინის, კოლექტივში ორგანიზებულად მუშაობის ჩვევის აღზრდას.

სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ ცოდნა-ჩვევანი, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ გარკვეული კვალიფიკაციის დაუფლებას.

2. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის საწარმოო პროფილი მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, ოლქის და ქალაქის განათლების განყოფილებათა მიერ.

3. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებს ნედლი მასალითა და იარაღებით ამარაგებენ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი მრეწველობა, სახელოსნოებს შეუძლიათ შეასრულონ სამუშაოები დაკვეთით, მაგრამ სავალდებულო პირო-

ბით, რომ ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად.

სკოლის დამთავრებისას ხდება მოსწავლეთა პროფესიულ-ტექნიკური მომზადების შემოწმება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), შრომის მასწავლებლები და საწარმოთა წარმომადგენლები.

V. ინტერნატი განსაკუთრებული რეჟიმის სკოლასთან

1. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლებთან ეწყობა ინტერნატები. ინტერნატში მოსწავლეთა შენახვისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება ხდება ნაწილობრივ საბიუჯეტო სახსრებიდან, ნაწილობრივ მშობელთა მიერ.

ინტერნატში ბავშვების შენახვისათვის მშობლებს გადასახადი გადახდება განათლებისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

2. მთელი მუშაობა ინტერნატში ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული გარკვეული შინაგანაწესის მიხედვით და მთლიანად ექვემდებარება სკოლის საერთო სასწავლო-საალმზრდელო ამოცანებს. სასწავლო მეცადინეობისა და სავალდებულო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს ინტერნატის აღმზრდელების, სკოლის მასწავლებლებისა და პიონერხელმძღვანელების მიერ მოსწავლეთათვის ტარდება სხვადასხვა სახის კლასგარეშე ღონისძიებანი.

3. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მოსწავლეები აღმზრდელების ხელმძღვანელობით მონაწილეობას ღებულობენ დამხმარე მეურნეობის სამუშაოებში და თვითმომსახურებაში. სამუშაოს სახის, დავალებისა და გამომუშავების ნორმების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლეთა ასაკი და მათი ჯანმრთელობა.

VI. დირექტორი, სასწავლო-ნაწილის გამგე და პედაგოგიური კოლექტივი

1. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება. პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა და ადმინისტრაციული მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა, ახასიათებდეს მაღალი ნებისყოფა და გააჩნდეს ბავშვთა კოლექტივთან მუშაობის

უნარი. დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა სასწავლო-საალმ-ზრდელო მუშაობასა, წესრიგსა და დისციპლინაზე სკოლაში, მოს-წავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, განსაკუთრე-ბულ პედაგოგიურ რეჟიმთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიების სწორად განხორციელებაზე, მოსწავლეთა შრომითი მომზადების ორგანიზაციასა და მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნაზე.

2. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ დამ-თავრებული უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა და გააჩნიათ დახურული ტიპის სასწავლებელში მუშაობის უნარი.

სასწავლო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართ-ვაზე, სასწავლო გეგმის და პროგრამების შესრულებაზე, მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობაზე, პროფესიულ-შრომითი სწავლების სწორად დაყენებასა და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაზე, ხოლო დირექტორის სკოლაში არყოფნის დროს ასრულებს დირექ-ტორის მოვალეობას. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე სრულ კონტაქტში მუშაობს სკოლის ინტერნატის გამგესთან.

3. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. ინტერნატში მომუშავე აღმზრდელები აწესრიგებენ აღმზრდე-ლობით მუშაობას, ახორციელებენ ყოველდღიურ მეთვალყურეობას მოსწავლეთა ქცევაზე, მოსწავლეთა მიერ „მოსწავლეთა წესებისა," სკოლაში დადგენილი რეჟიმისა და შინაგანაწესის შესრულებაზე; თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შე-სრულებას, ატარებენ კლასგარეშე ღონისძიებებს, სრულ კონტაქტში მუშაობენ სკოლის მასწავლებლებთან სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობით.

VII. პედაგოგიური საბჭო

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის პედაგოგიური საბჭო მუ-შაობს სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით და თავმჯდომა-რეობით, მის შემადგენლობაში შედიან: სკოლის სასწავლო ნაწი-ლის გამგე, ინტერნატის გამგე, სასწავლო-საწარმოო სწავლების გამგე, ყველა მასწავლებელი, აღმზრდელები, მშობელთა კომიტეტის

წარმომადგენელი, ბიბლიოთეკარი, პიონერხელმძღვანელი და სკოლის ექიმი.

1. პედაგოგიური საბჭო მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო დებულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII ფინანსირება.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლები იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიუჯეტზე.

2. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლებს აქვთ საბიუჯეტო და სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიში; ამ სახსრების ხარჯვა სახელოსნოებისა და კლასგარეშე მუშაობისათვის მოწყობილობისა და ინვენტარის, სახელოსნოებში მომუშავე მოსწავლეთა სპეცტანსაცმელის შესაძენად, კვების გასაუმჯობესებლად და საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გასატარებლად სწარმოებს სპეციალური ხარჯთაღრიცხვით.

3. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები თავისუფალია ყოველგვარი სახის გადასახადისაგან.

IX. სკოლის უფლებები

1. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლას ენიჭება იურიდიული პირის უფლება, მას აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი.

2. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლას უფლება აქვს დასდოს ხელშეკრულება წარმოება-დაწესებულებებთან დაკვეთების შესრულებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 426

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; 1956 წ. 1-ლი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული იყო 3.300,000 ათასი მანეთი, ათვისებულია 2.317.000 ათასი მანეთი.

ჩამორჩება ბათუმის რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის III სართულის დაშენება (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 5), ქ. სოხუმის სომხური საშუალო სკოლის (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 6), ქ. სტალინირის სოფ. ხეთაგუროვის სკოლის (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 3), ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედ. ინსტიტუტის შემაერთებელი კორპუსის) მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 1), ქ. სტალინირის პედინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 3), საგარეჯოს რაიონის სოფ. სართიჭალის (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 2), კასპის რაიონის სოფ. კავთისხევის სკოლის მშენებლობა (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 3) და ქ. ქუთაისის მეცხრე სკოლის შენობაზე ახალი საკლასო ოთახების მიშენება (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 4).

ქუთაისის მე-9 სკოლის შენობაზე ახალი საკლასო ოთახების მიშენების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 554.600 მანეთს, 1955 წელს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა განათლების განყოფილებამ მშენებელი ორგანიზაციის მიერ მიცემული ცნობის საფუძველზე 318.0 მანეთი უჩვენა, ნაცვლად 268.0 ათასი მანეთისა, ამავე დროს, საბიუჯეტო ორგანოების მიერ თანხების მოუცემლობის გამო, განათლების განყოფილებამ ვერ ჩაურიცხა მშენებელს 41. 8 ათასი მანეთი; ამის შედეგად მ/წელს გათვალისწინებულია მიშენებაზე 162.0 ათასი მანეთი, ნაცვლად 308.0 ათ. მანეთისა, ე. ი. გასათვალისწინებელია დამატებით 146.0 ათასი მანეთი მშენებლობის დასამთავრებლად.

მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ I კვარტალის ანგარიში არ წარმოუდგენია აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, ქ. თბილისის და კასპის რაიონის განათ. განყოფილებებს და სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტს; გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებამ წარმოადგინა არასრული და არასწორი ანგარიში.

ჯერ არ განახლებულა პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის მშენებლობა (მშენებლობას აწარმოებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 3).

ჯერ კიდევ არ დაწყებულა აგრეთვე ბოგდანოვკის რაიონის სოფ. განძის საშ. სკოლის მშენებლობა კლიმატური პირობების გამო, ამავე დროს დღემდის არ არის შედგენილი ამ ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაცია (ქალაქმშენსახპროექტი).

სკოლისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ასეთი ჩამორჩენილობა პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ ქ. ბათუმის, ქ. სოხუმის, ქ. სტალინირის, ქ. ქუთაისის, საგარეჯოსა და კასპის რაიონის განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის პუშკინის სახელობის და ქ. ბათუმის რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის დირექტორები ყოველდღიურ კონტროლს არ უწევენ მშენებლობის მწარმოებელ ორგანიზაციებს, არ ეხმარებიან მათ და არ ღებულობენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ მშენებლობის გეგმები ვადაზე და მაღალხარისხოვნად სრულდებოდეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების გან-

ყოფილების გამგეს, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, საგარეჯოს, გორდაბნის და კასპის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ყოველდღიური კონტროლი დააწესონ სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე და მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ მიმდინარე კვარტალის განმავლობაში, ამ კვარტალის გეგმის აუცილებლად შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად, ლიკვიდაცია უყონ I კვარტალის ჩამორჩენილობას და ყოველ მიზეზს გარეშე მიაღწიონ მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში მშენებლობის გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულებას, ამ მიზნით საჭიროების მიხედვით დასვან საკითხი ადგილობრივ ორგანოებში და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, წარუდგინონ მათ სათანადო ცნობები დადგენილი წესის თანახმად;

ბ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მასალების მიღება.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ სამშენებლო ტრესტებმა, რომლებიც აწარმოებენ სკოლებისა და განათლების სამინისტროს სხვა ობიექტების მშენებლობას, უახლოეს დროში ლიკვიდაცია უყონ I კვარტალში დაშვებულ ჩამორჩენილობას და უზრუნველყონ მშენებლობის ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულება.

3. ეთხოვოს ქ. ბათუმის, ქ. სოხუმის, ქ. ქუთაისის, ქ. სტალინირის, საგარეჯოს და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლებისა და განათლების სამინისტროს სისტემის სხვა ობიექტების მშენებლობის საქმეში არსებული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მშენებლობის გეგმის ვადაზე დამთავრების უზრუნველსაყოფად.

4. ეთხოვოს „ქალაქმშენსახპროექტს“ და მის ქუთაისის ფილიალს უახლოეს დღეებში დაამთავრონ ბოგდანოვკის რაიონში სოფ. განძის და წყალტუბოს რაიონში სოფ. ცხუნკურის სკოლების საპროექტო მოცემულობისა და საფინანსო სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების შედგენა.

5. ეთხოვოს „საქტყემრეწვს“ დროულად მისცეს ხის მასალა სამშენებლო ობიექტებს განათლების სამინისტროს განრიგის მიხედვით.

6. დაევალოს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის გახყოფილებას (უფროსი ამხ. ა. ღადუა)—გააუმჯობესოს კონტროლი სკოლებისა და განათლების სამინისტროს ობიექტების სხვა მშენებლობაზე. სისტემატურად შეამოწმოს თითოეული ობიექტის ტექნიკურ-დოკუმენტაციით, დაფინანსებით, სამშენებლო მასალებით, ტრანსპორტით, მუშახელით უზრუნველყოფის მდგომარეობა, მუშაობის ორგანიზაცია და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლინებული ნაკლოვანებების სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

7. ეთხოვოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაავალოს ქ. თბილისის განათლების განყოფილებას ყოველთვიურად დადგენილ ვადებში წარმოუდგინოს სამინისტროს ანგარიში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) დაავალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, საგარეჯოს და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს ყოველდღიური დახმარება გაუწიონ სკოლებისა და განათლების სამინისტროს სხვა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას ადგილებზე და მიაღწიონ იმას, რომ მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ობიექტების მშენებლობის გეგმის შესრულება;

ბ) დაავალოს „საქტყემრეწვის“ მმართველს შეუფერხებლად მოამარაგოს სამშენებლო მასალებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების და სხვა დაწესებულებების მშენებლობები;

გ) დაავალოს საპროექტო ორგანიზაციებს მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში მიაწოდონ სამშენებლო ობიექტებს სამუშაო ნახაზები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი — მიღებული განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიერ 3
2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 416 — ლანჩხუთის, ზესტაფონის, მახარაძის, მცხეთის, ახმეტისა და თელავის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 10
3. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 423 — მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 14
4. დ ე ბ უ ლ ე ბ ა — ასაკგადაცილებულთა სკოლებისა და კლასების შესახებ . . 23
5. დ ე ბ უ ლ ე ბ ა — განსაკუთრებული რეჟიმის სკოლების შესახებ 29
6. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 426 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ . 37

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
სუდარ
ბიბლიოთეკა
თბილისი

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

უე 06112 შეკვ. № 1229 ტირაჟი 5000.

გადაეცა წარმოებას 8/VII-56 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,5.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательства и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе, № 5.

1ф. 1ф.10/358
უფასო